# ფინალისტები და პირველი მატჩები

24 სექტემბერს ბულგარეთის სხვადასხვა ქალაქში დამთავრდა ფრენბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატების წინასწარი თამაშები. მკითხველისთვის ცნობილია წინასწარ ჯგუფებში სსრ კავშირის ნაკრები გუნდების ყველა მატჩის შედეგი. 23-24 სექტემბერს გამართულ დანარჩენ შეხვედრათა შედეგები და წინასწარი ჯგუფების საბოლოო ცხრილები ასეთია:

## ქალები

**სევლიევო.** მონღოლეთი — კუბა 2:3, გდრ — ბულგარეთი 1:3, ბულგარეთი — მონღოლეთი 3:1, კუბა — გდრ 3:2.

| | მ. | წ. | ქ. |
|---|---|---|---|
| ბულგარეთი | 3 | 0 | 3 |
| კუბა | 2 | 1 | 2 |
| გდრ | 1 | 2 | 1 |
| მონღოლეთი | 0 | 3 | 0 |

ამგვარად, ამ ჯგუფიდან 8 ფინალისტს შორის გავიდნენ ბულგარეთისა (შევიდა კუბელებთან მოპოვებული მომგებიანი ქულით) და კუბის გუნდები.

**სოფია.** ჩეხოსლოვაკია — მექსიკა 3:0, იაპონია — ჰოლანდია 3:0, ჰოლანდია — ჩეხოსლოვაკია 0:3, მექსიკა — იაპონია 0:3.

| | | | |
|---|---|---|---|
| იაპონია | 3 | 0 | 3 |
| ჩეხოსლოვაკია | 2 | 1 | 2 |
| მექსიკა | 1 | 2 | 1 |
| ჰოლანდია | 0 | 3 | 0 |

ფინალისტები: იაპონია (1 ქულა) და ჩეხოსლოვაკია (0).

**ბურგასი.** რუმინეთი — პოლონეთი 3:2, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა — აშშ 3:0, აშშ — რუმინეთი 1:3, პოლონეთი — კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა 2:3.

| | | | |
|---|---|---|---|
| კსდრ | 3 | 0 | 3 |
| რუმინეთი | 2 | 1 | 2 |
| პოლონეთი | 1 | 2 | 1 |
| აშშ | 0 | 3 | 0 |

ფინალისტები: კსდრ (1) და რუმინეთი (0).

**ვარნა.** პერუ — უნგრეთი 1:3, ბრაზილია — პერუ 3:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| სსრ კავშირი | 3 | 0 | 3 |
| უნგრეთი | 2 | 1 | 2 |
| ბრაზილია | 1 | 2 | 1 |
| პერუ | 0 | 3 | 0 |

ფინალისტები: სსრ კავშირი (1) და უნგრეთი (0).

8 ფინალისტი პირველობისთვის ვარნაში იბრძვის.

## ვაჟები

**სოფია.** ბულგარეთი — იუგოსლავია 3:0, იტალია — ისრაელი 3:0, ბელგია — ირანი 3:0, იტალია — ირანი 3:0, ბულგარეთი — ისრაელი 3:0, ბელგია — იუგოსლავია 3:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| ბულგარეთი | 5 | 0 | 5 |
| ბელგია | 4 | 1 | 4 |
| იუგოსლავია | 3 | 2 | 3 |
| იტალია | 2 | 3 | 2 |
| ისრაელი | 1 | 4 | 1 |
| ირანი | 0 | 5 | 0 |

ფინალისტები: ბულგარეთი (1) და ბელგია (0).

**იამბოლი.** პოლონეთი — უნგრეთი 3:2, ბრაზილია — ფინეთი 3:1, ჩეხოსლოვაკია — აშშ 3:0, უნგრეთი — ფინეთი 3:1, ბრაზილია — აშშ 3:0, ჩეხოსლოვაკია — პოლონეთი 3:2.

| | | | |
|---|---|---|---|
| ჩეხოსლოვაკია | 5 | 0 | 5 |
| პოლონეთი | 4 | 1 | 4 |
| უნგრეთი | 3 | 2 | 3 |
| ბრაზილია | 2 | 3 | 2 |
| აშშ | 1 | 4 | 1 |
| ფინეთი | 0 | 5 | 0 |

ფინალისტები: ჩეხოსლოვაკია (1) და პოლონეთი (0).

**ხასკოვო.** რუმინეთი — ჰოლანდია 3:0, იაპონია — საფრანგეთი 3:0, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა — ვენესუელა 3:0, იაპონია — ჰოლანდია 3:0, რუმინეთი — ვენესუელა 3:1, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა — საფრანგეთი 3:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| იაპონია | 5 | 0 | 5 |
| რუმინეთი | 4 | 1 | 4 |
| ჰოლანდია | 2 | 3 | 2 |
| კსდრ | 2 | 3 | 2 |
| საფრანგეთი | 2 | 3 | 2 |
| ვენესუელა | 0 | 5 | 0 |

ფინალისტები: იაპონია (1) და რუმინეთი (0). გუნდები, რომლებმაც 2-2 ქულა დააგროვეს, ცხრილში პარტიების უკეთესი ბალანსის მიხედვით განაწილდნენ.

**კირჯალი.** გდრ — მონღოლეთი 3:0, გვინეა — ტუნისი 3:2, კუბა — მონღოლეთი 3:0, გდრ — ტუნისი 3:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| გდრ | 5 | 0 | 5 |
| სსრ კავშირი | 4 | 1 | 4 |
| კუბა | 3 | 2 | 3 |
| მონღოლეთი | 1 | 4 | 1 |
| ტუნისი | 1 | 4 | 1 |
| გვინეა | 1 | 4 | 1 |

ფინალისტები: გდრ (1) და სსრ კავშირი (0). გუნდები, რომლებმაც თითო ქულა დააგროვეს, პარტიების უკეთესი ბალანსის მიხედვით განაწილდნენ ცხრილში.

8 ფინალისტი პირველობისთვის სოფიაში იბრძვის.

* * *

**სოფია, 27 სექტემბერი.** გუშინ და დღეს გაიმართა შეხვედრები ფინალურ ჯგუფებში. სსრ კავშირის ქალთა ნაკრებმა იოლი გამარჯვება მოიპოვა კუბელებთან მატჩში — 3:0 (15:3, 15:5, 15:2). დღეს საბჭოთა ფრენბურთელებმა სძლიეს იაპონიის ნაკრებს — 3:1 (15:10, 15:12, 14:16, 15:6).

სსრ კავშირის ვაჟთა ნაკრებმა გუშინ მოუგო ბელგიის გუნდს — 3:0 (15:9, 15:4, 15:3), დღეს კი დაამარცხა იაპონელები — 3:1 (16:14, 15:12, 9:15, 15:8).



სურათზე: სსრ კავშირისა და ბელგიის ფრენბურთელთა შეხვედრის მომენტი.

ვ. სამოილოვის ფოტო („პრავდა").

## აწია — 186 კგ!

**რიგა, 28 სექტემბერი.** თავისი სპორტსაზოგადოების ახალგაზრდა ძალოსანთა შეჯიბრებაში უკონკურსოდ მოასპარეზე ს. პოლტორაცკიმ („დაუგავა") 186 კგ აწია, რაც 2,5 კგ-ით აღემატება ქვემძიმე წონის ათლეტთა მსოფლიო რეკორდს. უწინდელი რეკორდი წლეულს 1 აგვისტოს დაამყარა ვოროშილოვგრადელმა ა. კიდიაევმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 191 (4185)

1970 წ. 29 სექტემბერი. სამშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## მატჩის გახსნის დღეს

**ერფურტი (გდრ), 27 სექტემბერი.** გ. დიმიტროვის სახელობის სტადიონზე დაიწყო პოლონეთის, სსრ კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მძლეოსანთა ნაკრები გუნდების ორდღიანი მატჩი.

პირველი გამარჯვება მოიპოვა ლენინგრადელმა დ. სტუკალოვმა, რომელმაც მოიგო 400 მეტრზე თარჯრბენი — 50,3. კიეველი ვ. ბორზოვი უძლიერესი იყო 100 მეტრზე რბენაში — 10,3.

საბჭოთა მძლეოსნებიდან წარმატებით გამოვიდნენ, აგრეთვე, კიეველი ა. ბონდარჩუკი (უროს ტყორცნა — 72,32 მ), მოსკოვის ოლქის წარმომადგენელი ე. გუშჩინი (ბირთვის კვრა — 19,88 მ) და ვორონეჟელი ნ. სვირიდოვი (10.000 მეტრზე რბენა — 28.41,4).

## როცა გაზეთი დასაბეჭდად მზად იყო...

**ერფურტი, 28 სექტემბერი.** საბჭოთა მძლეოსნებმა გდრ-ის ამ ქალაქში მოიგეს ორდღიანი მატჩი მასპინძელთა და პოლონეთის ნაკრებ გუნდებთან. ვაჟთა კოლექტივების ასპარეზობის შედეგები ასეთია: სსრ კავშირი — გდრ 113:99, სსრ კავშირი—პოლონეთი 110:101 (პოლონეთი — გდრ 108:103). ქალებში გაიმარჯვეს მატჩის მასპინძლებმა. ანგარიში ასეთია: სსრ კავშირი — გდრ 61:74, გდრ — პოლონეთი 83:52 (სსრ კავშირი — პოლონეთი 75:60). ვარშაველმა სტუდენტმა ტერეზა სუკნევიჩმა 100 მეტრზე თარჯრბენში კ. ბალცერის (გდრ) მსოფლიო რეკორდი გაიმეორა — 12,7. საბჭოთა გუნდში გამოირჩეოდნენ ოლიმპიური ჩემპიონი ი. ლუსისი (შუბი—88,02 მ), უძლიერესთა შორის პირველად მოასპარეზე, სომხეთის წარმომადგენელი ქალი ფ. მელნიკი (მადროს ტყორცნა — 61,80 მ), მსოფლიო რეკორდსმენი, ლენინგრადელი ნ. ჩიჟოვა (ბირთვი — 19,69 მ). ბრესტელმა ვ. ბალიხინმა სსრ კავშირის რეკორდი გაიმეორა 110 მეტრზე თარჯრბენში — 13,7. მასპინძელი ქალებიდან 200 მეტრზე შესანიშნავი შედეგი აჩვენა რ. მაისნერმა — 23,1. ნ. ჰერბსტი 665 სმ სიგრძეზე გადახტა. ეს იყო სსრ კავშირის მძლეოსანთა ნაკრების ბოლო საერთაშორისო „გამოცდა" 1970 წლის სეზონში.

# თორმეტი საუკეთესო

### პირველ დაფაზე ყველას აჯობა სპასკიმ

**ზიგენი, 27 სექტემბერი.** დღეს დილით აქ, „ზიგენლანდჰალეს" დარბაზში, დასრულდა XIX საჭადრაკო ოლიმპიადა. საბოლოო სიცხადე სატურნირო ცხრილში გადადებული პარტიების დამთავრებამ შეიტანა.

უნგრელებმა გდრ-ის გუნდს მოუგეს გადადებული პარტია და, მასთან ერთად, მატჩიც — 3:1. გაიმარჯვეს იუგოსლაველებმაც არგენტინელებთან (2,5:1,5), მაგრამ ეს წარმატება მათ მხოლოდ III ადგილისთვის ეყოთ. ამერიკელებმა ესპანელებს მოუგეს ორივე გადადებული პარტია და მატჩი — 2,5:1,5.

ამრიგად, XIX ოლიმპიადაში პირველი 12 ადგილი ასე განაწილდა: I. სსრ კავშირი — 27,5 ქულა 44-დან, II. უნგრეთი — 26,5, III. იუგოსლავია — 26, IV. აშშ — 24,5, V. ჩეხოსლოვაკია — 23,5, VI. გფრ — 22, VII-VIII. არგენტინა, ბულგარეთი — 21,5-21,5, IX. გდრ — 19,5, X. რუმინეთი — 18,5, XI. კანადა — 17,5, XII. ესპანეთი — 16.

პირველ დაფაზე ყველაზე კარგად მსოფლიო ჩემპიონმა ბ. სპასკიმ ითამაშა. მან შესაძლებელი ქულების 76,14 პროცენტი დააგროვა. მეორე დაფაზე გაიმარჯვა მსოფლიო პირველობის საზონათშორისო ტურნირის მონაწილემ, მონღოლმა საერთაშორისო ოსტატმა ტ. უიტუმენმა — შესაძლებელი ქულების 75 პროცენტი. მესამე დაფაზე საუკეთესო იყო ინგლისელი უ. ჰარტსტონი — 78, მეოთხეზე — იუგოსლაველი დიდოსტატი ა. მატანოვიჩი — 79,2.



დამთავრდა საქართველოს თასის გათამაშება ველოსპორტში. სპრინტერთა ასპარეზობა მოიგო თბილისის „ბურევესტნიკის" გუნდის წევრმა შ. კაცაძემ.

სურათზე: შ. კაცაძე რბოლის შემდეგ.

მ. ზარგარიანის ფოტო.

●

(შეჯიბრების ანგარიში იხ. მე-3 გვ.).

## შეუპოვრობა და ნებისყოფა

25 სექტემბერს საბჭოთა ძალოსნები და მათი მწვრთნელები ტრადიციულად ეწვივნენ საკავშირო ალკკ ცენტრალურ კომიტეტს. საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ტიაჟელნიკოვმა გულთბილად მიულოცა მათ ბრწყინვალე გამარჯვება კოლუმბუსში (აშშ) გამართულ მსოფლიო ჩემპიონატში.

გამარჯვებაში შეუპოვრობისა და ნებისყოფის გამოჩენისთვის საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის საპატიო სიგელებით დაჯილდოვდნენ მსოფლიო ჩემპიონები ვ. კურენცოვი, გ. ივანჩენკო, ვ. კოლოტოვი, ი. ტალტსი და ვ. ალექსეევი.

საპატიო სიგელები გადაეცათ, აგრეთვე, მათ მწვრთნელებს ა. მედვედევს, ვ. კაპლუნოვს, მ. ფრაიფელდს, ა. ჩუეინს, ტ. ვეირს, ი. კრინიცკის, ი. მურომცევს, მასაჟისტს კ. გრომადინს.

საპატიო სიგელი გადაეცა გაზეთ „სოვეტსკი სპორტის" სარედაქციო კოლეგიის წევრს, მსოფლიო ჩემპიონატზე გაზეთის სპეციალურ კორესპონდენტს, სპორტის დამსახურებულ ოსტატ დ. ივანოვს.

# ჩვენი საქმიანობის ქვაკუთხედი

## სპარტაკიადებისთვის მზადება




# ტრადიცია რომ არ დაირღვეს




კრივს ქუთაისში ოცდახუთიოდე წლის ისტორია აქვს. პირველი საწვრთნელი ჯგუფები 1946 წელს № 4 პროფტექნიკურ სასწავლებელში შეიქმნა დიდი ენთუზიასტის ი. მარქაროვის ხელმძღვანელობით. მომდევნო წელიწადს ასეთი ჯგუფები ბავშვთა სპორტულ სკოლაშიც გაიხსნა და საქმე თანდათან დაიძრა ადგილიდან. მუყაითმა მეცადინეობამ ნაყოფი გამოიღო: ორიოდე წლის შემდეგ ქუთაისელი მოკრივეები საქართველოს ჩემპიონატში პრიზიორებიც კი გახდნენ (რ. გორგიძე, ა. ჩიკვაშვილი).

1949 წელს ქალაქის ჭაბუკ მოკრივეთა გუნდმა საქართველოს ჩემპიონის წოდება მოიპოვა, ხოლო ერთ-ერთი მისი წარმომადგენელი თ. გუჯაბიძე საბჭოთა კავშირის ჩემპიონიც კი გახდა ჭაბუკთა შორის და ეს ტიტული მომდევნო წელსაც შეინარჩუნა. ორჯერ ასეთივე წარმატება იზეიმა ფ. ლომიძემ.

გადიოდა წლები და ქუთაისელ მოკრივეთა წარმატებები სულ უფრო თვალსაჩინო ხდებოდა. 1959 და 1961 წლებში ქალაქის ნაკრები საქართველოს ჩემპიონი გახდა. ამ გამარჯვებაში დიდი წვლილი შეიტანეს თ. გუჯაბიძემ, ა. გუბაევმა, ფ. ლომიძემ, ჯ. კვანტალიანმა, ნ. თორთლაძემ, ა. ხუციშვილმა, ა. ყანჩელმა და სხვ. კვანტალიანმა 1957 წელს ჯერ სსრ კავშირის ჩემპიონობა მოიპოვა ჭაბუკთა შორის, შემდეგ კი საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადაში II საპრიზო ადგილი დაიკავა.

მას შემდეგ ქუთაისელი მოკრივეები მუდამ არიან რესპუბლიკის ჩემპიონობის რეალური პრეტენდენტები. ჩვენი ქალაქის ღირსებას იცავენ პერსპექტიული სპორტსმენები — საქართველოს მრავალგზის ჩემპიონები ვ. სულაკაძე, ა. ნიკოლაძე, რ. რატიანი. ამჟამად ისინი ამხანაგებთან ერთად გაცხოველებით ემზადებიან რესპუბლიკური სპარტაკიადისთვის. უკვე კარგა ხანია დაკომპლექტდა ნაკრები, რომელიც სისტემატურად მეცადინეობს.

სპარტაკიადისთვის მზადების პროგრამით გუნდის ხელმძღვანელობას დაგეგმილი აქვს რამდენიმე ამხანაგური შეხვედრა, მათ შორის, ცსკა-სთან. ქუთაისელი მოკრივეები მონაწილეობას მიიღებენ რიგის, როვნოსა და ერევნის ღია ჩემპიონატებში.

— ყოველივე ეს სპორტსმენებს მეტ გამოცდილებას შესძენს, გაამდიდრებს მათ ტექნიკურ არსენალს, — განაცხადა გუნდის უფროსმა მწვრთნელმა, საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა ი. მარქაროვმა. — სპარტაკიადისთვის გუნდის მზადყოფნა შემოწმდება საქართველოს პირველობაში, რომელიც ოქტომბერს სოხუმში უნდა გაიმართოს. მოკრივეები ამ ასპარეზობისთვის ინტენსიურად ემზადებიან.

არის ნაკლოვანებებიც, რომელთა შორის უმთავრესია ინვენტარის უქმარისობა. დროგამოშვებით მუშაობს შხაპები, რინგი კი მოძველებულია. ქუთაისში დღემდე არ არის ნორმალური დარბაზი შეჯიბრების ჩასატარებლად. ამის გამო ქალაქში ამხანაგური შეხვედრების გამართვა არ ხერხდება.

ამ და სხვა ხარვეზთა აღმოფხვრა უაღრესად დიდმნიშვნელოვანი საქმეა სპარტაკიადებისთვის მზადების პერიოდში.

**ზ. ნიჟარაძე.**
(ჩვენი კორ.)

ქუთაისი.

---

# კროსის მასობრიობისთვის

საქართველოს პროფსაბჭო 4 ოქტომბერს თბილისში, კუსტბის მიდამოებში ატარებს პროფკავშირულ-კომკავშირულ საშემოდგომო რესპუბლიკური მძლეოსნური კროსის ფინალს. ამ შეჯიბრების მიზანია საწარმო-დაწესებულებების, მშენებლობების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სასწავლებლების ფიზკულტურულ კოლექტივებში მასობრივ-გამაჯანსაღებელი და სპორტული საქმიანობის დონის ამაღლება, ფიზკულტურასა და სპორტში მოსწავლეთა და მშრომელთა ფართოდ მიზიდვა, ნიჭიერ სპორტსმენთა გამოვლინება და საქართველოს პროფსაბჭოს ნაკრები გუნდის დაკომპლექტება.

რესპუბლიკური კროსი ოთხ ეტაპად ეწყობა. პირველი ეტაპია საამქროების, განყოფილებების, ფაკულტეტების, კურსების, ჯგუფების მასობრივი შეჯიბრებები; მეორე ეტაპს შეადგენს საწარმოების, დაწესებულებების, მშენებლობების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, საშუალო სკოლების, საშუალო სპეციალური და უმაღლესი სასწავლებლების ტურნირები; მესამე ეტაპია რაიონული და საქალაქო პირველობები; მეოთხე ეტაპზე ცალ-ცალკე გაიმართება პროფკავშირული ნებაყოფლობითი სპორტსაზოგადოებების, საწარმოთა სპორტკლუბების, საშუალო სპეციალური და უმაღლესი სასწავლებლების, ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლების გუნდების ფინალური შეჯიბრებები.

ფინალური კროსის პროგრამა და წარმომადგენლობა სხვადასხვა ჯგუფისთვის სხვადასხვანაირია. მაგალითად, ნებაყოფლობითი სპორტსაზოგადოებების გუნდების შემადგენლობაში 19-19 კროსმენი უნდა იყოს. პროგრამა ასეთია: ყველა საზოგადოებას 1000 მეტრზე 3-3 მორბენალი გოგონა გამოჰყავს, ჩათვლას კი ისინი 2-2 საუკეთესო შედეგით მიიღებენ. ამავე დისტანციაზე 4-4 ქალიშვილი იასპარეზებს (ჩათვლა — 3-3). ქალები (2-2, ჩათვლა — 2-2) 2000 მეტრზე რბენაში გამარჯვებისთვის იბრძოლებენ, ჭაბუკები (3-3, ჩათვლა — 2-2) 3000 მეტრზე იასპარეზებენ, იუნიორები (5-5, ჩათვლა — 4-4) 5000, ხოლო ვაჟები (2-2, ჩათვლა — 2-2) 8000 მეტრზე რბენაში შეეჯიბრებიან ერთმანეთს.

საწარმოთა სპორტული კლუბებისა და უმაღლესი სასწავლებლების გუნდების შემადგენლობაში 8-8 სპორტსმენი შედის. ისინი თავიანთ ჯგუფებში დისტანციაზე (ქალიშვილები — 1000, ქალები — 2000, იუნიორები — 5000, ვაჟები 8000 მეტრზე) იასპარეზებენ.

შეჯიბრებაში საშუალო სპეციალური სასწავლებლების გუნდებიც 8-8 სპორტსმენით გამოვლენ, ოღონდ დისტანციები მათთვის უფრო იოლი იქნება: გოგონები 800, ქალიშვილები — 1000, ბიჭები — 3000 და ჭაბუკები 5000 მეტრზე გამართავენ შეჯიბრებებს. სამივე ამ ჯგუფში ყველა დისტანციაზე გუნდებს ჩათვლას მხოლოდ თითო სპორტსმენი მისცემს.

უფრო მასობრივი იქნება ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლების ტურნირი. ვინაიდან აქ გუნდებს 12-12 მონაწილე გამოჰყავთ. შეჯიბრების ორგანიზატორებმა მათთვის 6 დისტანცია (გოგონებისთვის — 800, 1000 და 2000, ჭაბუკებისთვის — 1000, 2000 და 3000 მ) დააწესეს. ჩათვლას ყველა დისტანციაზე გუნდებს აქაც თითო საუკეთესო სპორტსმენი მისცემს.

ნებაყოფლობითი სპორტსაზოგადოებების გუნდების წევრებს უფლება აქვთ პარალელური ჩათვლა მისცენ სხვა ჯგუფის ერთ-ერთ რომელიმე გუნდს, თუ ისინი ამ გუნდის წევრები არიან. წლევანდელ კროსში ზემოჩამოთვლილი ჯგუფების გარდა შეჯიბრება ეწყობა პროფკავშირთა დარგობრივ კომიტეტებს შორისაც და, ცხადია, შედეგების შეჯამებისას მათ შორის საუკეთესონიც გამოვლინდებიან.

ჯგუფებში გამარჯვებულად ჩაითვლებიან ის კოლექტივები, რომლებიც ყველაზე ნაკლებ საჯარიმო ქულას მიიღებენ. ქულათა თანაბრობის შემთხვევაში პირველობა მიეკუთვნება იმ კოლექტივს, რომელსაც საპრიზო ადგილებით უპირატესობა ექნება. გუნდებს, რომლებიც რომელიმე დისტანციაზე მონაწილეთ ვერ გამოიყვანენ, დაეწერებათ იმდენი საჯარიმო ქულა, რამდენი სპორტსმენიც ამ დისტანციაზე გამოდიოდა (პლუს 1 საჯარიმო ქულა).

საერთო გუნდურ ჩათვლაში სპორტსაზოგადოებებს შორის გამარჯვებული, აგრეთვე, პროფკავშირის საუკეთესო დარგობრივი კომიტეტი საქართველოს პროფსაბჭოს თასით, საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტისა და ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტის სიგელებით დაჯილდოვდებიან, II და III ადგილებზე გასული კოლექტივები — საქართველოს პროფსაბჭოს ვიმპელებით, საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტისა და ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტის სიგელებით.

სხვა ჯგუფებში გუნდური ტურნირის ყველა პრიზიორი საქართველოს პროფსაბჭოს ვიმპელებით, საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტისა და ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტის შესაბამისი ხარისხის სიგელებით დაჯილდოვდება.

რაც შეეხება პირად პირველობას, პრიზიორები მიიღებენ საქართველოს პროფსაბჭოს, საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტისა და ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტის სიგელებს.

ასეთივე სიგელებით დაჯილდოვდებიან ის ფიზკულტურული, პროფკავშირული და კომკავშირული აქტივისტები, რომლებიც განსაკუთრებით გამოიჩენენ თავს კროსების გამართვაში.

---

# ...იქნება სპორტული ზეიმი

ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე. ეს საპატიო და პასუხსაგები თანამდებობაა. ამ თანამდებობის კაცმა ბევრი რამ უნდა იცოდეს. იგი სიტყვითა და საქმით, გონივრული რჩევითა და პრაქტიკული საქმიანობით უნდა ეხმარებოდეს ხალხს. ასეთი მუშაკია ანზორ სანიკიძე — ხობის ფიზკულტურისა და სპორტის რაიონული კომიტეტის ახალი თავმჯდომარე. იგი ჯერ მხოლოდ მესამე თვეა მუშაობს. გაუჭირდა თუ არა? რასაკვირველია, ბევრი სირთულეც შეხვდა. მაგრამ სჯობს თვითონ თავმჯდომარეს მოვუსმინოთ, რომელიც ჩვენი გაზეთის სპეციალურ კორესპონდენტს ვ. ბუკინს ესაუბრა.

## ინტერვიუ

● ანზორ, თქვენ ორგზის სპორტის ოსტატი ხართ — კლასიკურ და თავისუფალ ჭიდაობაში. 1964 წლის საკავშირო სტუდენტურ თამაშებში, ტალინში, თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა შორის მეორე იყავით. ალბათ, მუშაობას რომ შეუდექით, რაიონში უპირველესად ამ სახეობის პოპულარიზაცია დაიწყეთ.

— ხობელმა სპორტის მოყვარულებმა პირველად ნახეს თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა შერკინებები. ქვემსუბუქ წონაში თავი გამოიჩინა ა. სანაიამ. იგი შვიდჯერ გამოვიდა ხალიჩაზე და შვიდივე მეტოქეს სძლია. ურიგოდ არც ჩემი ძმა — 18 წლის სოსო გამოსულა. მანაც 7 შეხვედრა მოიგო. რაიონის პირველ ასპარეზობაში ერთ მონაწილეზე (სულ 44 კაცი გამოვიდა სარბიელზე) სამი გულშემატკივარი მოდიოდა. შეჯიბრების დამთავრების შემდეგ ამ მაყურებლებიდან ბევრმა გადაწყვიტა თვითონაც ეცადა ბედი ხალიჩაზე.

რამდენიმე სიტყვა მძლეოსნობაზე. ძალიან კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს ნოჯიხევის № 30 სასოფლო პროფტექნიკური სასწავლებლის აღსაზრდელი გ. ყორშია. 1500 მეტრზე შეჯიბრება მან მსუბუქად, ძალდაუტანებლად მოიგო. სხვათა შორის, ყორშია რაიონის ჩემპიონია 25-კილომეტრიან დისტანციაზეც, ოღონდ... ველოსიპედისტთა შორის. სიმაღლეზე მხტომელმა ჯ. ჭითანავამ გაიმეორა რაიონის რეკორდი — 160 სმ. ძმებმა გ. და ვ. გვასალიებმა ოთხი სიგელი მოიპოვეს: ვაჟამ მოიგო 100 მეტრზე შეჯიბრება, გივიმ — ხელყუმბარის და ბადროს ტყორცნა, ბირთვის კვრა. ერთი სიტყვით, რაიონში პერსპექტიული სპორტსმენები გვყავს. კარგად გამოდის ჩვენი ფეხბურთელთა გუნდი „კოლხეთიც". იგი რესპუბლიკური პირველობის II ჯგუფის II ზონის გუნდების ლიდერია.

● მაგრამ სპორტში წარმატებას მარტო ფეხბურთი როდი განსაზღვრავს. თქვენი რაიონის სხვა სახეობათა წარმომადგენლები რატომღაც არ ჩანან რესპუბლიკურ სარბიელზე.

— ამას ბევრი მიზეზი აქვს. რაიონში 33 სკოლაა, მაგრამ მათგან ფიზკულტურის სპეციალისტი მხოლოდ ცხრას ჰყავს. ესე იგი, ჩვენ უკვე დიდი სპორტული გზის დასაწყისშივე ვკარგავთ ტალანტებს. რაიონში 24 კოლმეურნეობაა და მათგან საწარმოო ტანვარჯიშის მეთოდისტი მხოლოდ ერთში მუშაობს. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს V სესიის დადგენილება არ სრულდება ჭალადიდის, ქვალონის, პატარა ფოთის, განთიადის, ახალხიბულის, ხეთის საბჭოთა მეურნეობებში, სადაც ჯერჯერობით ფიზიკური კულტურის სპეციალისტები არა ჰყავთ. ამასთან, 8200 ფიზკულტურელიდან ძირითადი ნაწილი სწორედ კოლმეურნეობებზე მოდის. რატომღაც ყურადღებას არ გვაქცევენ რესპუბლიკური ფედერაციების თავმჯდომარეებიც. 20 წლის მანძილზე ჩვენს რაიონში ამ ფედერაციებიდან არავინ ჩამოსულა (მხოლოდ ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენელი იყო). არა გვაქვს მეთოდური ლიტერატურა, გვაკლია სპორტული ინვენტარი.

● სტადიონი არ გივარგათ. კაცმა რომ თქვას, ეს უფრო შემოღობილი მინდორია. არა გაქვთ გასახდელები, საშხაპეები. განა აქ მაღალი კლასის სპორტსმენთა მომზადება შეიძლება?

— გეთანხმებით. სტადიონი ჯერჯერობით მართლაც მოუწყობელია. არ არის სარბენი ბილიკები, ფრენბურთისა და კალათბურთის მოედნები. არც საშუალო და უფროსი ასაკის ხალხს აქვს სავარჯიშო ადგილი.

რაღა შორს მივდივართ: ბავშვთა სპორტულ სკოლასაც კი არა აქვს საკუთარი სპორტდარბაზი და ხშირად იძულებულია სხვა სკოლებს მიმართოს დახმარებისთვის. თუმცა არც სკოლებია არიან ამ მხრივ მაინცდამაინც განებივრებული. სოფელ პირველი მაისისა და ხობის მე-2 სკოლებში სპორტული დარბაზები აიგო, მაგრამ მათი ზომა 16×8 მეტრია. რა კვალიფიციურ გაკვეთილებზე შეიძლება ლაპარაკი?

კარგი ბაზები ჯერჯერობით არც სოფლებში გვყოფნის. მაგალითად, საბჭოთა მეურნეობა „განთიადში" დღემდე ვერ მოხერხდა საფეხბურთო მინდვრის მოწესრიგება. უყურადღებოდაა მიტოვებული ფრენბურთის მოედანი. ანალოგიური მდგომარეობაა სოფელ საჯიჯაოს ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში.

კარგ სტადიონს აშენებს ხეთის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი. საქმე ბევრი აღარ დარჩა და ამ ბაზას ალბათ მალე ვიხილავთ მწყობრში.

● დიახ. მუშაობაში ბევრი სირთულე გხვდებათ, მაგრამ, როგორც ჩანს, რაიონის პარტიული და სახელმწიფო ორგანოები უფრო მეტად დაინტერესდებიან ამ მდგომარეობით და დაეხმარებიან სპორტსმენებს.

— მაშინ ჩვენი რაიონის ყველა სოფელში, ყველა ფიზკულტურულ ორგანიზაციაში ნამდვილი სპორტული ზეიმი იქნება. ხობის 1-ლ სკოლაში შესანიშნავი სპორტული დარბაზი აგეს (24×12). ეს სკოლა გამონაკლისი აღარ იქნება. მაშინ ყველა სოფელში შეიძლება ჩატარდეს რაიონული მასშტაბის შეჯიბრებები, რესპუბლიკური ტურნირებიც კი. დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი აქტივი (მაგალითად, ნ. ჭითავა, გ. ჟორჟოლიანი, ა. ზარანდია, მ. დანელია, ზ. ტორჩინავა, თ. ბებურია) საქმეს შესანიშნავად გაუძღვება.

---

## [illegible]

**ბათუმი**

ადგილობრივ ბაზებზე ორ თვეს მიმდინარეობდა „განთიადის" აჭარის საოლქო საბჭოს სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრებები. ასპარეზობა საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავს მიეძღვნა. დაძაბული ბრძოლების შემდეგ სპარტაკიადის საერთო გუნდურ ჩათვლაში პირველობა მოიპოვა ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის ფიზკულტურულმა კოლექტივმა. II ადგილზე გავიდა ხის დამამუშავებელი კომბინატის ნაკრები გუნდი. III ადგილი წილად ხვდა ქარხანა „ელექტროხელსაწყოების" კოლექტივს. სპარტაკიადაში შესრულდა 179 სათანრიგო ნორმატივი.

**ო. მურვანიძე.**

---

# საქარხნო გუნდების წარმატება

სამ თვეზე მეტ ხანს მიმდინარეობდა ფოთის პირველობა ფეხბურთში, რომლის მონაწილე გუნდები ორ პარალელურ ჯგუფად იყვნენ დაყოფილი.

I-II ადგილები ქვეჯგუფებში დაიკავეს საოკეანო თევზჭერის სამმართველოს, ჰიდრომელიორაციის ტექნიკუმის, ელექტრომანქანური გამაძლიერებელი ქარხნისა და ჰიდრომექანიზაციის მანქანათმშენებელი ქარხნის გუნდებმა.

ფინალური შეხვედრები კარგად ჩაატარეს ელექტრომექანიკური გამაძლიერებელი ქარხნის ფეხბურთელებმა (ფიზკულტურის მეთოდისტი ლ. ძიძავა) და ჩემპიონობაც მოიპოვეს. II ადგილზეა ჰიდრომექანიზაციის მანქანათმშენებელი ქარხნის (მეთოდისტი ჯ. კუჭუხიძე) გუნდი.

**ბ. ბასილაია.**
(ჩვენი კორ.)

ფოთი.




## სსრ კავშირის პირველობა

# ასეთ დროს — წ ა გ ე ბ ა?!

ქუთაისი. ცენტრალური სტადიონი. 27 სექტემბერი.

„ტორპედო“ (ქუთაისი) — „ჩერნომორეცი“ (ოდესა) 0:2 (0:1).

„ტორპედო“: გოგია, ჩხაიძე, წვერავა, ეხრაკლიძე (ანდრიაშვილი), ჭოხონელიძე, ოქროპირაშვილი, ერქომაიშვილი, სანაია, ვეკუა, ხერხაძე, ქიქავა.

„ჩერნომორეცი“: იარჩუკ, ნეჩაევი, რეშკო, ფრიდმანი, სიროშიატნიკოვი, მასლოვი, პორკუიანი, საპოუნიკოვი, ნეკიჩი, მიხაილინი, ბოსი (ზუბკოვი).

მსაჯი ვ. ხამოლაზოვი (დონის როსტოვი).

დუბლიორები — 0:1 „ჩერნომორეცის“ სასარგებლოდ.

მას შემდეგ, რაც ტორპედოელებმა სტუმრად უაღრესად საჭირო ქულები დაკარგეს, მათი მდგომარეობა მეტისმეტად გართულდა. მაგრამ გუნდის გულშემატკივრებს იმედი არ დაუკარგავთ, ვინაიდან ქუთაისელებს შინ ჰქონდათ ჩასატარებელი შეხვედრები თავიანთ უშუალო მეტოქეებთან, იმ გუნდებთან, რომლებიც უმაღლესი ლიგის აუტსაიდერები არიან. საკუთარ მინდორზე დარჩენილი ამ მატჩებიდან ერთ-ერთი უმთავრესი იყო შეხვედრა ოდესის „ჩერნომორეცთან“. 27 სექტემბრის მატჩს ბევრი რამ უნდა გადაეწყვიტა. ქუთაისელთათვის არა თუ წაგება, მატჩის ფრედ დამთავრებაც კი არ შეიძლებოდა. „ჩერნომორეცის“ დამარცხებით ჩვენი გუნდი უკან იტოვებდა თავის ერთ-ერთ უმთავრეს კონკურენტს და საგრძნობლად იუმჯობესებდა უმაღლეს ლიგაში დარჩენის შანსებს.

მაგრამ მოხდა ყველაზე უარესი. იმ დროს, როცა ტორპედოელებს უფლება არა ჰქონდათ დაეკარგათ 1 ქულაც კი, მათ ორივე ქულა დაკარგეს.

რა თქმა უნდა, ამ მატჩის წაგებაში თვით ქუთაისელი ფეხბურთელები არიან დამნაშავენი, რომლებმაც ძალიან დაბალ დონეზე და უხარისხოდ ჩაატარეს შეხვედრა. მინდორზე თითქოსდაც არ იგრძნობოდა, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მათთვის ამ თამაშს.

მატჩის დასაწყისს ტორპედოელთათვის თავიანთ ძალებში რწმენის გრძნობა უნდა ჩაესახა, ვინაიდან მათ ზედიზედ რამდენიმე ძლიერი შეტევა განახორციელეს. მე-4 წუთზე ოქროპირაშვილმა კარგი მდგომარეობიდან ააცილა მიზანს, ხოლო მე-14 წუთზე ვეკუამ ძელს მოახვედრა ბურთი.

საჭირო იყო შეტევის გაძლიერება, მაგრამ, ნაცვლად ამისა, ტორპედოელთა შორის თავი იჩინა ნერვიულობამ, უზუსტობამ. 30-ე წუთზე მასლოვის დარტყმული ბურთი გოგიამ ცუდად მოიგერია, იგი მოხვდა ძელს, შემდეგ კვლავ მეკარეს და გავიდა კარში.

მეორე ტაიმის დასაწყისში „ტორპედომ“ ისევ სცადა მდგომარეობის გამოსწორება, მაგრამ „ჩერნომორეცის“ ერთ-ერთი კონტრიერიშისას მიხაილინმა ჩაიგდო ბურთი, ისარგებლა მცველებისა და მეკარის არასწორი პოზიციით და კიდევ უფრო დააწინაურა თავისი გუნდი.

ტორპედოელები ველარას გახდნენ. მათ უხეიროდ ჩაატარეს ეს უკიდურესად საპასუხისმგებლო მატჩი და დამარცხდნენ.

(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

## გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 29 სექტემბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო“ (მოსკოვი) | 25 | 14 | 6 | 5 | 39—17 | 34 |
| ცსკა | 24 | 14 | 4 | 6 | 37—15 | 32 |
| „სპარტაკი“ (მოსკოვი) | 26 | 10 | 12 | 4 | 39—21 | 32 |
| „ზარია“ (ვოროშილოვგრადი) | 25 | 10 | 10 | 5 | 25—20 | 30 |
| „დინამო“ (თბილისი) | 24 | 11 | 7 | 6 | 32—20 | 29 |
| „დინამო“ (კიევი) | 26 | 12 | 4 | 10 | 28—23 | 28 |
| „ტორპედო“ (მოსკოვი) | 25 | 9 | 9 | 7 | 25—26 | 27 |
| „ნეფთჩი“ (ბაქო) | 24 | 8 | 10 | 6 | 22—15 | 26 |
| „დინამო“ (მინსკი) | 25 | 8 | 9 | 8 | 27—23 | 25 |
| სკა (დონის როსტოვი) | 25 | 6 | 13 | 6 | 21—22 | 25 |
| „არარატი“ (ერევანი) | 24 | 9 | 6 | 9 | 22—23 | 24 |
| „პახთაკორი“ (ტაშკენტი) | 26 | 6 | 10 | 10 | 18—38 | 22 |
| „ზენიტი“ (ლენინგრადი) | 25 | 7 | 6 | 12 | 24—36 | 20 |
| „შახტიორი“ (დონეცკი) | 25 | 7 | 6 | 12 | 26—45 | 20 |
| „ჩერნომორეცი“ (ოდესა) | 25 | 6 | 7 | 12 | 21—33 | 19 |
| „ტორპედო“ (ქუთაისი) | 27 | 4 | 10 | 13 | 18—32 | 18 |
| „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) | 25 | 4 | 7 | 14 | 22—37 | 15 |

### გაიმარჯვა „ცისკარმა“

საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატის განვლილი ტურის ერთი შედეგი ჩვენს გაზეთში არასწორად იყო აღნიშნული. თბილისის „ისნისა“ და სიღნაღის „ცისკრის“ შეხვედრაში გაიმარჯვა „ცისკარმა“ — 1:0. ეს ერთადერთი ბურთი გაიტანა თედევმა.

# ლენინგრადის მარათონი

ლენინგრადი, 27 სექტემბერი. ადგილობრივმა სპარტაკელმა, 32 წლის ე. პეტინმა მოიგო 44-ე ტრადიციული გარბენი მარშრუტით პუშკინო — ლენინგრადი. შეჯიბრება გაზეთ „ვეჩერნი ლენინგრადის“ პრიზზე ტარდებოდა. პეტინი ფინიშთან — სასახლის მოედანზე — 1 საათის, 36 წუთისა და 30 წამის შემდეგ მივიდა. მან 6 წამით ჩამოიტოვა ნოვოკუზნეცკელი პ. ველეზოვსკი.

30-კილომეტრიანი გარბენის სტარტზე სსრ კავშირის 30 ქალაქის 300-მდე მორბენალი გამოვიდა. პეტინმა თავიდანვე ხელთ იგდო ლიდერობა და ფინიშამდე პირველი იყო.

შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღეს ვეტერანებმაც — 50 წელზე მეტი ასაკის სპორტსმენებმა. მათთვის საასპარეზო დისტანცია 15 კმ იყო. გაიმარჯვა 57 წლის გ. ჩაიკოვსკიმ (ნიკოლაევი, „ავანგარდი“) — 53.10.

უკვე ზედიზედ რამდენიმე წელია საბჭოთა მარათონელებთან ერთად ამ შეჯიბრების სტარტზე ფინელი მორბენლებიც გამოდიან. ამჯერად ასპარეზობაში 4 სტუმარი მონაწილეობდა (ოთხივე ტურკუდან). მათგან საუკეთესო აღმოჩნდა მ. ჰამიალიაინენი — 1.39,15 (ეს მე-15 შედეგია). შარშან იგი მხოლოდ 53-ე იყო.

გაზეთ „ვეჩერნი ლენინგრადის“ მთავარი პრიზი დაისაკუთრა ნევისპირა ქალაქის ნაკრებმა.

# სპორტი სკოლაში იწყება

საქჟეჟპ

უახლოეს წლებში ბელორუსიის ყველა სკოლაში მოსწავლეებს საკუთარი კეთილმოწყობილი სპორტული დარბაზი ექნებათ. იმ სკოლებში, რომლებიც ძველი ტიპიური პროექტების მიხედვით აიგო, დარბაზებს მოაწყობენ ადგილობრივი სამშენებლო ორგანიზაციები ადგილობრივი ბიუჯეტისა და სხვა თანხების საფუძველზე, — ასეთი გადაწყვეტილება მიიღეს ბელორუსიის კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ. ყოველი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა მიიღებს სპორტულ ნაგებობებს, რომლებიც სავსებით უზრუნველყოფენ ფიზიკური აღზრდის პროგრამის შესრულებას. უკვე 1971 წელს რესპუბლიკის დედაქალაქში და ყველა საოლქო ცენტრში მოეწყობა საფეხბურთო მინდვრების კომპლექსები, სადაც ივარჯიშებენ მოსწავლეები, ახალგაზრდობა.

გაუმჯობესდება მუშაობა მოზარდთა სპორტული სკოლების მწვრთნელთა და ფიზკულტურის მასწავლებელთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად. საწარმოების, ორგანიზაციების, დაწესებულებების, კოლმეურნეობების, ინსტიტუტებისა და ტექნიკუმების საუკეთესო ფიზკულტურული კოლექტივები შეფობას აიღებენ მოსწავლეებზე. ფიზკულტურის მასწავლებლს მეცნიერებაც დაეხმარება: ეწყობა კვლევა მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის პრობლემების სფეროში, კლასგარეშე და სკოლისგარეშე სპორტულ-მასობრივი და გამაჯანსაღებელი მუშაობის მეთოდების სრულყოფისთვის. მიღებული იქნება ზომები ბავშვებსა და მოზარდებს შორის სპორტულ-მასობრივი მუშაობის უფრო ფართოდ გაშლისთვის საცხოვრებელ ადგილებში. განზრახულია 1971 წლიდან ყოველწლიურად ჩატარდეს რესპუბლიკის 8-წლიანი და საშუალო სკოლების მოსწავლეთა მასობრივი სპორტული დათვალიერება-კონკურსები.

დადგენილება გმობს ისეთ პრაქტიკას, როცა სკოლებში ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის დონე შეჯიბრებებში მოპოვებული საპრიზო ადგილების რიცხვით, თანრიგოსანთა რაოდენობით ფასდება, ხოლო ყველაზე მთავარი — მოსწავლეთა ფიზიკური განვითარება და ჯანმრთელობა — უყურადღებოდ რჩება. აღინიშნა, რომ ნაკლებადაა გამოყენებული საწარმოების, ორგანიზაციების, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების შესაძლებლობები სპორტული ბაზების კეთილმოსაწყობად, ზოგადსაგანმანათლებლო და ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლების დასახმარებლად.

ბელორუსიის კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ პარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონულ კომიტეტებს, მშრომელთა დეპუტატების საოლქო, საქალაქო და რაისაბჭოების აღმასკომებს, განათლების სამინისტროს, ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტს, რესპუბლიკის პროფსაბჭოს, ბელორუსიის ალკკ ცენტრალურ კომიტეტს დაავალეს იზრუნონ, რათა დროულად აღმოიფხვრას ნაკლოვანებები მშრომელთა ფიზიკურ აღზრდაში და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სპორტის განვითარებაში.

# მათი პირველი მეტოქეები

რომი, 27 სექტემბერი. აქ შედგა კალათბურთში ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასისა და თასების მფლობელთა თასის მორიგი ტურნირების კენჭისყრა.

ჩემპიონთა თასის გათამაშებაში სსრ კავშირიდან მონაწილეობს ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონი ცსკა. იგი ასპარეზობაში ჩაებმება პირველი ეტაპის მატჩების დამთავრების შემდეგ. მოსკოვის არმიელთა მეტოქე იქნება პორტუგალიის „ბენფიკასა“ და უნგრეთის „ჰონვედს“ შორის გამარჯვებული.

თასების მფლობელთა თასის გათამაშებაში გამოვა სსრ კავშირის ვიცე-ჩემპიონი — ლენინგრადის „სპარტაკი“. ნევისპირელთა მეტოქე იქნება თურქეთის „გალათასარაისა“ და რუმინეთის „სტიაუას“ შორის უძლიერესი გუნდი.

# სარეკორდო რიცხვი

მიუნხენი, 27 სექტემბერი. 1972 წლის ოლიმპიადის საფეხბურთო ტურნირში 84 ქვეყანამ გამოთქვა მონაწილეობის სურვილი. ეს სარეკორდო რიცხვია.

ფინალურ გათამაშებაში 16 საუკეთესო გუნდი იასპარეზებს, რომელთა შორის უკვე ირიცხებიან მეხიკოს ოლიმპიადის ოქროს ლაურეატი — უნგრეთის ნაკრები და მომავალი, შეჯიბრების მასპინძელი ქვეყნის — გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კოლექტივი.

პირველ მატჩში საბჭოთა ფეხბურთელები ჰოლანდიის ოლიმპიელებს შეხვდებიან.



ასეთი სისწრაფე 4-კილომეტრიან რბოლაში თბილისის ველოტრეკზე არავის განუვითარებია. ასპარეზობის დაწყებამდე ფავორიტთა შორის, ვისაც გნებავთ, იმას ასახელებდნენ, მაგრამ არავის უფიქრია, რომ რბოლას ახალგაზრდა ბურევესტნიკელი რ. საიდხუჯინი მოიგებდა. ვ. ფეტისოვს („დინამო“) მოსწვენებას არ აძლევდა შარშანდელი ჩემპიონისა და თანაგუნდელის ვ. მალევანიკის სახელი, ხოლო ფავორიტები არმიელ ვ. პოპოვს აკვირდებოდნენ მალულად, ვინაიდან სწორედ მასში ხედავდნენ პოტენციურ მეტოქეს.

რ. საიდხუჯინი კი ყველასგან განმარტოებით, „ჩრდილში“ იდგა და თავის ძალაში დაჯერებული ახალ სენსაციას ამზადებდა. ბურევესტნიკელს ბრძოლის დაწყების წინ წამოცდა — აუცილებლად გავიმარჯვებო, მაგრამ ამისთვის მაშინ ყურადღება არ მიუქცევიათ. მხოლოდ მერე, რბოლის დამთავრების შემდეგ, გაახსენდათ, როგორი სიმტკიცით იყო ნათქვამი ეს სიტყვები.

ერთი სიტყვით, საქართველოს თასზე ბრძოლამ კიდევ ერთი სენსაციური შედეგი შვა. მისი ავტორი გახდა სახელგანთქმული ველოსიპედისტის გ. საიდხუჯინის ძმა რაფაელი. გამარჯვებულმა ამ მანძილის გავლას 5 წუთი და 6,4 წამი მოანდომა. საიდხუჯინმა უკან ჩამოიტოვა ყველა აღიარებული ფავორიტი. II ადგილი წილად ხვდა ფეტისოვს — 5.09,8, III — პოპოვს — 5.10,2.

სპრინტი, როგორც მოსალოდნელი იყო, ბურევესტნიკელმა შ. კაცაძემ მოიგო. მაგრამ ფინალში მას ი. მელიკოვთან („დინამო“) კი არ მოუხდა ბრძოლა, როგორც უმრავლესობა ფიქრობდა, არამედ არმიელ ნ. გოგოტიშვილთან. კაცაძემ ორივე გადამწყვეტი სერია მოიგო. მელიკოვი III ადგილისთვის ბრძოლაშიც დამარცხდა ბურევესტნიკელ ა. სვანიძესთან.

საინტერესო სანახავი იყო წყვილთა რბოლა, რომლითაც სამდღიანი საინტერესო ასპარეზობა დამთავრდა. აქ თავიდანვე დაწინაურდნენ „დინამოსა“ (ფეტისოვი, მელიკოვი) და არმიის სპორტული კლუბის (ო. ნიშნიანიძე, პოპოვი) წყვილები. უკანასკნელი ფინიშის წინ ქულების მეტი მარაგი დინამოელებს ჰქონდათ, მაგრამ ბოლო მომენტში არმიელებმა მეტოქეებს მთელი წრით გაუსწრეს და გაიმარჯვეს კიდეც.

გუნდურ ჩათვლაში რესპუბლიკის თასი „დინამოს“ ველოსიპედისტებმა მოიგეს — 128,5 ქულა. II ადგილზე გავიდნენ „ბურევესტნიკის“ წარმომადგენლები (78,5), III — არმიელი სპორტსმენები (56).

ნ. ახვლედიანი.

გთავაზობთ კიდევ რამდენიმე ტექნიკურ შედეგს:

**იუნიორთა ჯგუფური რბოლა 80 წრეზე:** 1. ი. საზონოვი, 2. ვ. ივანოვი (ორივე — „დინამო“), 3. ი. ვოლკოვი („განთიადი“).

**ადგილიდან რბოლა 1 კმ-ზე:** 1. ი. მელიკოვი — 1.12,6, 2. შ. კაცაძე — 1.12,7, 3. ვ. ლიტვინოვი („ბურევესტნიკი“) — 1.12,9.

• • •

**სურათზე:** 4 კილომეტრზე ინდივიდუალურ რბოლაში გამარჯვებული რ. საიდხუჯინი.

მ. ზარგარიანის ფოტო.

# კ ვ ლ ა ვ   ს ე ნ ს ა ც ი ა

### უცხოეთის ფეხბურთის ამბები

# მომენტები და არბიტრები

ბერნი, 27 სექტემბერი. საფეხბურთო ასოციაციების ევროპული კავშირის (უეფა) გენერალურმა მდივანმა, დოქტორმა ჰ. ბანგერტერმა უეფა-ს ბიულეტენის ბოლო ნომერში აღნიშნა, რომ გასული ევროპული სეზონი „სუფთა ფეხბურთის სეზონი" იყო. კერძოდ, უდიდესი ევროპული ტურნირები — ქვეყნების ჩემპიონთა თასისა და თასების მფლობელთა თასის გათამაშებები პრაქტიკულად უინციდენტოდ და უტრავმებოდ ჩატარდა. გაიმართა 127 მატჩი და მსაჯებმა მხოლოდ ორჯერ მიმართეს სასჯელის ისეთ სერიოზულ ზომას, როგორიცაა მინდვრიდან მოთამაშის გაძევება. „ეს იყო უმაღლესი კლასის ფეხბურთის 194 საათი, — წერს ბანგერტერი. — მატჩებში მონაწილეობა მიიღო 3048 მოთამაშემ, ხოლო შეხვედრებს 2,3 მილიონი მაყურებელი დაესწრო".

ფეხბურთში ეს ახალი ნაკადი შარშან ივლისში უეფა-ს მიერ დაწყებული კამპანიის შედეგია, როცა დიდად გაზარდეს მოთამაშეთა მხრივ წესების, ხოლო მაყურებელთა მხრივ წესრიგის დარღვევისთვის დაწესებული ჯარიმები.

ბანგერტერი მადლობას უძღვნის მოთამაშეებს, მსაჯებსა და მაყურებლებს ფეხბურთის მატჩებში ჭეშმარიტად სპორტული ატმოსფეროს შექმნისთვის. მაგრამ ავტორი აქვე აღნიშნავს, რომ არბიტრები კვლავინდებურად მკაცრად გაუსწორდებიან ფეხბურთის წესების დამრღვევთ. უეფა განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს გულშემატკივართა საქციელს: თუ წლევანდელი ევროპული ტურნირების დროს მასპინძელი გუნდების ქომაგები მატჩის მსვლელობას ხელს შეუშლიან, მსაჯი შეწყვეტს თამაშს და მოგება ავტომატურად მიეკუთვნებათ სტუმრებს.

რიო-დე-ჟანეირო, 27 სექტემბერი. აი, რა მოხდა ბრაზილიური გუნდების „ფლამენგოსა" და „მადურეირის" შეხვედრის დროს. მატჩის დამთავრებამდე 10 წუთით ადრე „ფლამენგოს" მეკარემ უბირაჟარმა ბურთი მინდორში გაგზავნა. ამ დროს ქარმაც დაუბერა და ბურთი პირდაპირ ჩაეშვა... მეტოქის კარის ბადეში. „მადურეირის" მეკარე რობერტოს ეს არც კი დაუნახავს — ამ მომენტში ბუცის ზონარს ისწორებდა. ასეა თუ ისე, „ფლამენგომ" გაიმარჯვა ანგარიშით 1:0.

სპლიტი, 27 სექტემბერი. იუგოსლავიის ჩემპიონატის VII ტურში უმაღლესი ლიგის გუნდების — სპლიტის „ჰაიდუკისა" და „ოფკ ბელგრადის" მატჩი ერთობ უჩვეულო მიზეზით შეჩერდა: 53-ე წუთზე მსაჯმა რისტიჩმა თავი ცუდად იგრძნო.

ლონდონი, 27 სექტემბერი. ინგლისის დედაქალაქის ერთ-ერთი კოლეჯის სტუდენტებმა და მოსამსახურეებმა თავისებური „რეკორდი" დაამყარეს: მათ ფეხბურთი შეუსვენებლივ ითამაშეს... 16 საათს. ამ გასაოცარ მატჩში 117 გოლი იქნა გატანილი, ხოლო მისი ორი მონაწილე საავადმყოფოში აღმოჩნდა. მაგრამ ამის მიზეზი სპორტსმენთა გადაღლა როდი იყო: ერთს მუხლი დაუშავდა, მეორეს კი მხარი. მატჩი პარასკევ საღამოს დაიწყო და შაბათ დილით დამთავრდა. მინდორს რომ ტოვებდნენ, 24 წლის ჯ. გუდვინმა იუნაიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტს უთხრა: „ჩვენ ზედიზედ 24 საათს ვაპირებდით თამაშს, მაგრამ იმ ორი დაშავებული ფეხბურთელის გამო გავჩერდით".

ყველაზე საოცარი ის იყო, რომ ამ „ანტისაფეხბურთო" მატჩს ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის არბიტრები სჯიდნენ. ჯ. უილკინსონმა, რომელიც პირველი 10 საათის განმავლობაში ასრულებდა მინდვრის არბიტრის მოვალეობას, განაცხადა: „ეს პირდაპირ მომაკვდინებელი იყო, მაგრამ ბიჭები მთელი ღამე მაინც სწრაფად დარბოდნენ და ურტყამდნენ კარში".

## ჩაიკოვსკის, ჰიდეგკუტის...

ჩვენ უკვე ვიუწყებოდით, რომ გამოჩენილი იუგოსლაველი სპეციალისტი ჩაიკოვსკი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკიდან სამშობლოში დაბრუნდა და სათავეში ჩაუდგა ზაგრების „დინამოს". ამ გუნდს იუგოსლავიის ჩემპიონატში კონკრეტული ამოცანა აქვს — გაუსწროს დედაქალაქის კლუბებს „პარტიზანსა" და „ცრვენა ზვეზდას".

ამ ამოცანის შესრულებაში ზაგრების „დინამოს" დირექტორატს მარტო ჩაიკოვსკის მოწვევა არასაკმარისად მოეჩვენა. მან მოუხმო ცნობილ უნგრელ მწვრთნელ ჰიდეგკუტისაც, ამ უკანასკნელმა კი თავის მხრივ სპეციალური განცხადებით მიმართა უნგრეთის ფეხბურთის ფედერაციას დართოს უცხოეთში გადასვლის უფლება.

ამასობაში გულხელდაკრეფილი არც სხვა იუგოსლავიური კლუბები არიან. წარსულში ცნობილი მეკარე ბეარა სათავეში ჩაუდგა „ჰაიდუკს" (სპლიტი), ხოლო პოპულარული თავდამსხმელი მილუტინოვიჩი „ლესკოვაცის" მწვრთნელი გახდა.

## მოკლედ

● **ბონი.** გფრ-ის ბუნდესლიგაში ახლა 20 უცხოელი ფეხბურთელი გამოდის. ეს დადებით მოვლენად მიაჩნიათ, ვინაიდან 1963 წელს, როდესაც ბუნდესლიგა ჩამოყალიბდა, აქ 65 უცხოელი გამოდიოდა.

● **ლიმა.** პერუს ფეხბურთის ფედერაციამ დეპეშა გაუგზავნა დიდის, რომელიც ახლა რიო-დე-ჟანეიროშია. ამ ქვეყნის ნაკრების ყოფილ მწვრთნელს სთხოვენ ჩავიდეს ლიმაში და მიიღოს ჯილდო (40 ათასი დოლარი) მსოფლიო ჩემპიონატში მოპოვებული წარმატებებისთვის.

● **კოპენჰაგენი.** აქ გამოცხადდა, რომ 60 საუკეთესო დანიელი ფეხბურთელი ახლა უცხოეთში თამაშობს. სწორედ ამიტომ გამოდიან დანიის საკლუბო გუნდები ასე უფერულად საერთაშორისო სარბიელზე.

● **მადრიდი.** დიდი ვაჭრობა გაიმართა მადრიდის „ატლეტიკოს" ცნობილ თავდამსხმელ უფარტეს გამო. „ბარსელონა" თანახმაა მასში გადაიხადოს 9 მილიონი პესეტი, „ატლეტიკო" კი 12 მილიონს მოითხოვს.



იგი ბრწყინვალე ცხენოსანი იყო, მარჯვედ ისროდა პისტოლეტით, სრულყოფილად ფლობდა ძიუდოსა და კარატეს ილეთებს, ცურავდა, დარბოდა, ხტებოდა წყალში. ახალგაზრდა ფრანგ ქალს ჟაკლინ კამიუს, რომელიც გარეგნულად ჰოლივუდის კინომსახიობს უფრო ჰგავს, სპორტულ სარბიელზე ძალიან დიდი სახელის მოხვეჭა შეეძლო. იგი იყო კიდეც კარგი სპორტსმენი, მაგრამ ბედმა მისი ცხოვრება სულ სხვაგვარად წარმართა.

ჟ. კამიუმ იცის თვითმფრინავის, ავტომანქანისა და მოტოციკლის მართვა, გათვითცნობიერებულია ქირურგიაში, ფოტო და კინოხელოვნებაში, ფლობს ექვს უცხო ენას და ჰიპნოზის საიდუმლოებასაც კი, მაგრამ ყველაფერს ამას უარი უთხრა, ზურგი შეაქცია: ერთ მშვენიერ დღეს იგი გახდა საფრანგეთის მაშინდელი პრეზიდენტის, გენერალ დე გოლის პირადი დაცვის უფროსი. ამ დაცვაში მის გარდა საიდუმლო სამსახურის კიდევ 82 ახალგაზრდა ქალი იყო გაერთიანებული.

სურათზე: ჟ. კამიუ.




ეროვნული ბიბლიოთეკა

## დებიუტისთვის კარგია

კიბერონი, 27 სექტემბერი. ახალ ოლიმპიურ კლასში — „ტემპესტის" ნავებით მოასპარეზე აფროსანთა შორის მსოფლიო ჩემპიონები გახდნენ ძმები ჯონ და ჯეიმს ლინვილები (აშშ). მათ გაიმარჯვეს საფრანგეთის ამ აგარაკის მახლობლად გამართულ რეგატაში. II ადგილი დაიკავეს ჰოლანდიელებმა ბ. სტაარტიესმა და კ. კურპერშეკმა, III — ფ. და დ. ბრიუსებმა (აშშ). პრიზიორთა შედეგები შესაბამისად ასეთია: 38,7, 39,1 და 42 საჯარიმო ქულა.

ჩემპიონატში მონაწილეობდა ერთადერთი საბჭოთა ეკიპაჟი კიეველების ვ. მანკინისა და ვ. ვიტიუკოვის შემადგენლობით. ამ ეკიპაჟმა IX ადგილი დაიკავა — 66,7 ქულა. თუ გავითვალისწინებთ, რომ ადრე მანკინი „ფინის" კლასში გამოდიოდა (იგი ოლიმპიური ჩემპიონია ამ კლასში), რომ იგი პირველი წელია „ტემპესტს" ეუფლება, ხოლო წლევანდელი სტარტი მისთვის ფაქტიურად დებიუტი იყო საერთაშორისო სარბიელზე, მაშინ საბჭოთა დუეტის შედეგი წარმატებად შეიძლება ჩაითვალოს. (საკდესი).

## როცა გაზეთი იბეჭდებოდა, საათი იყო... $19^{45}$

◆ **ჟენევა,** 28 სექტემბერი. ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშებაში მოსკოვის „სპარტაკის" ფეხბურთელთა მეტოქემ — შვეიცარიის „ბაზელმა" თავისი ქვეყნის ჩემპიონატის მორიგ მატჩში სძლია „ლოზანას" 5:3 (3:3). ლოზანელთა კარში 3 ბურთი გაიტანა ვენგერმა.

◆ **ბუდაპეშტი,** 28 სექტემბერი. ადგილობრივი „ჰონვედის" არმიული სპორტული კლუბის თაოსნობით მოწყობილ საერთაშორისო შეჯიბრებაში თავისუფალი სტილის უნგრელმა მოჭიდავეებმა 5 პირველი ადგილი დაიკავეს. გდრ-ის წარმომადგენლებმა 3 პირველი ადგილი დაისაკუთრეს, ბულგარელებმა კი 2.

## [illegible]

● **მინსკი,** 26 სექტემბერი. ბელორუსიის თასზე ძალოსანთა შეჯიბრებაში არმიელი ვ. შარი საშუალო წონის მეორე სპორტსმენი გახდა, რომელმაც 500 კგ დაძლია. ცალკეულ მოძრაობებში მისი შედეგები ასეთი იყო: აჭიმვა — 165, ატაცი — 147,5, აკვრა — 187,5. მან პირველად შეასრულა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ნორმატივი. ამავე შეჯიბრებაში ორი რესპუბლიკური რეკორდის ავტორი გახდა ა. კოვალევსკი (ქვესაშუალო წონა). მან 167,5 კგ აჰკრა და საშჭიდში 435 კგ დააგროვა.

● **სიენა,** 26 სექტემბერი. იტალიის ამ ქალაქში ლენინგრადის „სპარტაკის" კალათბურთელი ვაჟები ადგილობრივ „მენს სანას" შეხვდნენ და გაიმარჯვეს ანგარიშით 84:68.

● **ბრიუსელი,** 27 სექტემბერი. ბალახზე ჰოკეიში ევროპის პირველი ჩემპიონის სახელი მოიხვეჭეს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის წარმომადგენლებმა, რომლებმაც აქ გამართულ ფინალურ მატჩში სძლიეს ჰოლანდიის ნაკრებს — 3:1 (1:1). ბრინჯაოს მედლები ესპანელებმა დაისაკუთრეს. სსრ კავშირის ნაკრები უხეიროდ გამოვიდა — მხოლოდ XIV ადგილი დაიკავა. ბოლო მატჩში დღეს მან მარცხის სიმწარე იწვნია იტალიელებთან — 0:2.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

ჩვენი ტელეფონები

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.

რედაქციის მისამართი: თბილისი-8, ლენინის ქ. № 14, დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო". ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, რედაქტორის მოადგილე — 93-97-51, პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52, მასობრივ-ფიზკულტურული და მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილებები — 93-97-55, სპორტული განყოფილება — 99-56-47, 93-97-53, ფეხბურთის განყოფილება — 93-97-56, ჭადრაკის განყოფილება — 93-97-57, წერილების განყოფილება — 93-97-54, მემანქანეთა ბიურო — 93-97-59, ფოტოლაბორატორია — 93-97-58, გამომშვები — 93-93-81, კორექტორები — 93-97-49.